

# ანა დოლიძე: ჩვენ დავასრულებთ სიკუდილს და დავიწყებთ ქვეყნის მოგავლის შენებას



პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი ანა დოლიძე მოსმენების ტურის ფარგლებში გურიის ესტუმრა და ჩონატაურში, ოზურგეთსა და ლანჩხუთში მოსახლეობას შეხვდა.

„გურიაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში მთავარი პრობლემა არის დაუსაქმებლობა, გაზრდილი ფასები, ინფრასტრუქტურული პრობლემები და, რაც

მთავარია, ხიდნატეხილობა მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. მოსახლეობა კარგად აცნობიერებს, რომ ტრიბუნებიდან გადმოცემული რეალობა არის სხვა და ხალხ-

ის გამოწვევები სხვა.

გურიის ახალგაზრდობა სამუშაოდ ან სხვა ქალაქებში არის წასული, ან უცხოეთში წასვლაზე ოცნებობს, რადგან თავის ქვეყანაში პერსპექტივა არ აქვს. ჩვენს ხელისუფლებას არანაირი სურვილი არ გააჩნია, გააცოცხლოს რეგიონები და რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი შექმნას. არადა, გურია არის რეგიონი, რომელსაც აქვს ძალიან დიდი ეკონომიკური პოტენციალი როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ჩაი, თხილი) წარმოებით, ისე კურორტებისა და ტურიზმის განვითარებით, განათლებული ხალხით, თუმცა ეს მხარე ერთ-ერთ უღარიბეს რეგიონად რჩება.“ – აღნიშნა გაზეთ „ალიონთან“ ანა დოლიძემ.

სოვის“ ლიდერი ამბობს, გურიაში მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ, იგი დარწმუნებულია, რომ ხალხი აბსოლუტურად მზად არის დაასრულოს „ქართული ოცნება“, ადამიანებს მობეზრდათ საქმის კეთების ნაცვლად, სიძულვილი და დაპირისპირება – „სანახაობა პურის გარეშე.“ თვითმმართველობის არჩევნებში პარტია „ხალხისთვის“ მონაწილეობას მიიღებს, როგორც ახალი, დამოუკიდებელი ძალა.

„ვებრძობებით, რომ ჩვენი პარტიის წარმომადგენლები მოხვდნენ საკრებულოებში, რათა აქტიურად მოხდეს ხალხის პრობლემების გაუმჯობესება სხდომებზე. კანდიდატები აუცილებლად ყველგან გვეყოლება, სიებს წარუდგენთ იქ, სადაც დარწმუნებული ვართ, რომ გვეყავს

მებრძოლი ხალხი. ჩვენ გვინდა დავასრულოთ ქოც-ნაცობა, ეს არ იქნება ადვილი, მაგრამ ჩვენ ეს უნდა შევძლოთ. ყველგან იქნება ხალხის ხმა და აი, მერე იქ იქნება ბრძოლა.“ – აცხადებს „ხალხისთვის“ დამფუძნებელი. რაც შეეხება ოზურგეთს, ანა დოლიძის პარტიიდან საკრებულოში მოსახვედრად იბრძობებს ვანო გოგოლაშვილი.

„ბატონი ვანო არის პატიოსანი, განათლებული და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. იგი მზად არის იბრძოდეს ოზურგეთელების კეთილდღეობისთვის და მჯერა, რომ მას მოსახლეობა, რომელსაც სურს ორპოლუსიანობის, სიძულვე - ილის და დღევანდელი ჭაობის დასრულება, მხარს დაუჭერს მას.“

## ქ ლ ი ო ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 23 (10393) 26 ივლისი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

## შესვედრა მინისტრის მოადგილესთან



გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს გიორგი ხანიშვილს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში აგრარულ სექტორში მიმდინარე პროექტები განიხილეს. აღინიშნა, რომ სახელმწიფო ხელშემწყობ სხვადასხვა პროგრამასთან ერთად, კვლავაც აგრძელებს ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვას და ეკონომიკური ზარალის თავი-

დან აცილებას. რეგიონში ყოფნისას გიორგი ხანიშვილი სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსთან ზურაბ ჩეკურაშვილთან და რწმუნებულთან ერთად, ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების მიმდინარეობას გაეცნო და მეთხილე ფერმერებს შეხვდა. გიორგი ურუშაძის განცხადებით, ხელშემწყობი პროგრამებისა და ფერმერების ცნობიერების ამაღლების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია რეგიონში თხილის მოსავალი.

## „მთავარია იყოს მშვიდობა, დაგვაყენონ, ნუ გვირევენ ქვეყანას“

მიდინარე თუ არა არჩევნებზე და რას ელოდებით ამ არჩევნებიდან? – ამ მარტივი კითხვით გასულ პარასკევს, 23 ივლისს, ძალაქ ოზურგეთში 44 მოქალაქეს მივმართეთ, ოცდასამმა რესპოდენტმა, – „მოგცლიათ, პრტიო“ უარი გვითხრა პასუხად, 14-მა ისე გაგვცა პასუხი, ვინაობის გამგეობა არ იხურება, მათ შორის ერთი შემოგვწყრა, – ვინ გვპითხვამათ? ეს ჩემი უფლებაა, არასდროს ვყოფილვარ და არც მივალ. მხოლოდ 6 მოქალაქემ გამოხატა შურნაღისტებთან ნორმალურად გასაუბრების სურვილი.



**როინი კოკლატაძე:** – რა თქმა უნდა მივდივარ. თუ „ოცნება“ მოიგო არჩევნები, ყველაფერ კარგს ველოდები, სხვა შემთხვევაში აღეიქცევა ქვეყანა.

**ვასო ანთაძე:** მივდივარ, როგორ არ მივდივარ?! ყველა არჩევნებში ვმონაწილეობ. არც ერთი გამომიტოვებია, არც გამოვტოვებ. თუ რამე კარგს მოიტანს ეს არჩე-



ვნები, კარგია ჩვენთვის, ხალხისთვის. ცვლილებების დროა.



**მარინა გორდელაძე:** – რა თქმა უნდა, მივდივარ. სიკეთეს ველით არჩევნებიდან.



**ნუზარ გორდელაძე:** აუცილებლად წავალ. სიკეთეს და წინსვლას ველი არჩევნებიდან. მთავარია, იყოს მშვიდობა. დაგვაყენონ, ნუ გვირევენ ქვეყანას. **მარინა ხინთიბიძე:** – არჩევნებისგან სასიკე-



თო ცვლილებებს ველი. რაც მთავარია, მშვიდობა გვკონდეს.



**მერი მაისურაძე:** – მივდივარ არჩევნებზე. რას უნდა ველოდე არჩევნებისგან?! სურვილი მაქვს ცვლილებების, რომ უკეთესობისკენ წავიდე...  
- არჩევნებისგან სასიკე-

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
რედაქტორი  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani15@gmail.com  
**558 499100**  
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
**599 373515**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
**551 576060**  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე  
«ალიონით»

## სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის **გიორგი ურუშაძის** ხელმძღვანელობით, სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე მიმდინარე წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარ სხვა მნიშვნელოვან საკითხებსა და საჭიროებების შესახებ იმსჯელეს, ასევე, 2020-2022 წლების საბილიტეტო რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე განიხილეს პროგრამის ფარგლებში, სამივე მუნიციპალიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა საგრანტო კონკურსზე გასატანი საპროექტო წინადადებები, რომელთა კონკურსის მეორე

ეტაპზე შერჩევისა და მოწონების შემთხვევაში პროექტები ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება. საბჭოზე, ასევე, კოვიდის საწინააღმდეგო ახალი რეგულაციების დაცვისა და ვაქცინაციის კუთხით არსებული მდგომარეობა განიხილეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ „COVID-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია რეგიონში მცხოვრები მოქალაქეებისთვის არის, ინფექციისაგან თავდაცვის ეფექტური და უსაფრთხო საშუალება. საკონსულტაციო საბჭოს სხდომას, რწმუნებულის მოადგილეები და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

## გურიის გუბერნატორი კომპანია Open Net-ის წარმოებადგენებს უხვდა

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის **გიორგი ურუშაძის** ხელმძღვანელობით, სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე მიმდინარე წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარ სხვა მნიშვნელოვან საკითხებსა და საჭიროებების შესახებ იმსჯელეს, ასევე, 2020-2022 წლების საბილიტეტო რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე განიხილეს პროგრამის ფარგლებში, სამივე მუნიციპალიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა საგრანტო კონკურსზე გასატანი საპროექტო წინადადებები, რომელთა კონკურსის მეორე

ეტაპზე შერჩევისა და მოწონების შემთხვევაში პროექტები ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება. საბჭოზე, ასევე, კოვიდის საწინააღმდეგო ახალი რეგულაციების დაცვისა და ვაქცინაციის კუთხით არსებული მდგომარეობა განიხილეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ „COVID-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია რეგიონში მცხოვრები მოქალაქეებისთვის არის, ინფექციისაგან თავდაცვის ეფექტური და უსაფრთხო საშუალება. საკონსულტაციო საბჭოს სხდომას, რწმუნებულის მოადგილეები და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.



## გიორგი ურუშაძემ და გიორგი ციბაძემ უიდასახელფიფიფიფიფიფიფი გზები დაათვალიერეს

სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში **გიორგი ურუშაძემ** მოადგილესთან **ქეთევან მოისწრაფეშვილთან** და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან **გიორგი ციბაძესთან** ერთად, შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP) ადგილზე დათვალიერა, რომელსაც კომპანია „China Road and Bridge Corporation“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

დაკვეთით ასრულებს. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ჩოხატაური-ზომ-ლეითის საავტომობილო გზის (შ 83) მონაკვეთის კმ 3.5 - კმ 13.8 რეაბილიტაცია; რაც შეეხება დანარჩენ საგზაო მონაკვეთებს, მათი სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება. ესენია: საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) კმ 35-კმ 43.6 და კმ 47.2 - კმ 48 რეაბილიტაცია; საჯავახო - ჩოხატაური -

ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) კმ 54.0 - კმ 67.7 მონაკვეთის რეაბილიტაცია; ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის (შ 81) კმ 15.9 - კმ 21.4 და კმ 22.5 - კმ 24.5 მონაკვეთის რეაბილიტაცია; ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის (შ 81) კმ 34 - კმ 50 მონაკვეთის რეაბილიტაცია; ჩოხატაური-ზომ-ლეითის საავტომობილო გზის (შ 83) მონაკვეთის კმ 3.5 - კმ 13.8 რეაბილიტაცია;

საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის (შ 02) მონაკვეთის კმ 17 - კმ 19.5 რეაბილიტაცია; ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 0.0 - კმ 2.8 რეაბილიტაცია; ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის (შ 46) მონაკვეთის კმ 16 - 21.2 და კმ 21.7 - კმ 22.0 რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში ჯამურად რეაბილიტირდება 62.2 კმ საავტომობილო გზა.

## „დიდგორმა“ უემოქმედში ქართული ხალხური ჰანგების დიდი გორი დადგა



18 ივლისს სოფელ უემოქმედში სიმღერების შემქმნელი და ასსამბლმა „დიდგორმა“ გურული გამაკეთილშობილებელი დიდოსტა-

ტის, განუმეორებელი ვარლამ სიმონიშვილის ეზოში ქართული ხალხური პოლიფონიური ჰანგების დიდი გორი დადგა. კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრი მართავს ფესტივალს „ხალხური საღამოები“. ამ ფესტივალში მონაწილე ანსამბლები თავიანთი განახლებული რეპერტუარებით კონცერტებს საქართველოს ყველა რეგიონის სოფლებში ჩაატარებენ. ანალოგიური კონცერტი „დიდგორმა“ წინა დღით, ნაცვლად სოფელ მთისპირისა, სოფელ ჭანიეთში

გამართა. ვარლამ სიმონიშვილის შვილი-შვილის მეუღლის **ნუნუ გოგუაძის** თქმით, რომელიც ამ ოჯახის რძალია 1974 წლიდან, ასეთი ზეიმი ამ ეზოში 1981 წლის შემდეგ არ ჩატარებულა. ასეთი ეროვნული ფოლკლორული საგანძურის ჰანგებად მოსმენის შემდეგ, თუ ვინმე „გარეპავს“, დამიჯერეთ, ის კარგად ვერ უნდა იყოს და ხვალ თუ არა, ზეგ აუცილებლად „გარეპავს“. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ რეპსაც თავისი ადგილი აქვს მუსიკალურ სამყაროში.











# ზემ სოფელ კვირიკეთში სახალხო-რელიგიური დღესასწაული კვირიკობა შედგება



28 ივლისი, ოზურგეთელ-თათვის, განსაკუთრებით სოფელ კვირიკეთსა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მრევლისთვის გამორჩეული დღეა, კვირიკობა, სახალხო-რელიგიური დღესასწაული. ამავე დღეს კვირიკეთში მოქმედ, წმინდა მოწამე კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიას აღდგენიდან 30 წელი უსრულდება.

ეკლესიის აღდგენის საკითხებზე და აღდგენილ ეკლესიაში სამი ათეული წლის განმავლობაში ჩატარებულ ღვთის მსახურებაზე „ალიონს“ ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი **მამა მათე (გორდელაძე)** ესაუბრა:

„28 ივლისს ოცდამეორეტივტივ კვირიკობა იწყება, 30 წელი ხდება წმინდა მოწამე კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის აღდგენიდან. აღდგენითი საშუალებები მე-18 საუკუნეში აგებულ ეკლესიას ჩაუტარდა, რომელიც, თავის მხრივ, უფრო ადრინდელ საძირკველზე იდგა. აღდგა კედლები, თუნუქის სახურავი ქართული კრამიტით შეიკვალა. ამ საღვთო საქმეში, ჯემალ კეჭამაძის თაოსნობით, არა მხოლოდ კვირიკეთის, არამედ თითქმის მთელი ოზურგეთის მოსახლეობა მონაწილეობდა.

ასეთ მდგომარეობაში მიგვიყვანა. ობიექტურად უნდა მიუდგინენ საკითხს ჟურნალისტებიც. ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ მხარეს, ჟურნალისტიკა პოლიტიკა არ არის.“

ჩვენთან საუბარში ეკლესიის აღდგენითი საშუალების 30 წლის წინანდელი ამბები გაიხსენა ამ საღვთო საქმის მოთავე **ჯემალ კეჭამაძე**:

„რა უცებ გაირბნა 30 წელიწადმა. მაგლობა უფალს, რომ შთამ-აგონა, შემოგვიკრიბა ჩემი სოფლები და ეს საქმე მთავა, აღვკვდინა ჩვენი ეკლესია, ჩვენი სალოცავი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიწასთან იყო გასწორებული.

პირველი, რითაც დავიწყე, ეს იყო ის, რომ ბათუმში მოვინახულე ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი, მუფუე კონსტანტინე, რომელიც ჩამოაშენებდა კვირიკეთში, დაგვლოცა და გვიკურთხა მშენებლობა.

ჯანმრთელობა მინდა ვუსურვო არქიმანდრიტ მამა ნიკოლოზს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ საღვთო საქმის აღსრულებაში, არა მხოლოდ ჩვენს ეკლესიას დაეხმარა, არამედ თავისი ლოცვა-კურთხევით ეკლესიისკენ მოაბრუნა უამრავი ადამიანი.

აუცილებლად უნდა ითქვას ქუთაისელ მშენებელთა ჯგუფის წევრების შესახებ, რომლებმაც მაღალ პროფესიულ დონეზე შეასრულეს სამშენებლო საშუალებები. მშენებლობის პროცესში, შეიძლება ითქვას, ჩემი მარჯვენა ხელი იყო ქალბატონი ეთერ ქაღვიშვილი, ცნობილი ჟურნალისტი, მწიგნობარი და კალმოსანი.

უფალმა კი მოძღვრად, სულიერ მამად დეკანოზი მამა მათე (გორდელაძე) მოგვივლინა, რომლის მობრძანების შემდეგ სრულიად შეიკვალა და გაბრწყინდა ჩვენი ეკლესია.

მადლობით მინდა მოვიხსენიო ყველა, ვინც თუნდაც მცირედ

წვლილი შეიტანა მოწამე კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის აღდგენაში.

ვისხენებ, დაახლოებით ათი წლის წინათ ოზურგეთში საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ჩამობრძანებას, რომელმაც ჩვენი ეკლესიის მონახულებისას მშენებლობის თავიანთი მოკითხვა, დიდი მორიდებითა და მოკრძალებით მივეახლე და კალთაზე ვემთხვიე. უწმინდესმა და უნეტარესმა დამლოცა. ეს იყო ჩემთვის უდიდესი მადლი.

ყველას ვილოცავთ კვირიკობას, განსაკუთრებით კვირიკეთელებს, რომლებიც მშობლიურ სოფელში აღდგენილი ეკლესიიდან პირველები აღდგინდნენ უფალს და ქართველთა შორის სიყვარულსა და ერთიანობას შესთხოვეს მას“.

აქვე გეტყვით, რომ ბატონი ჯემალი არ არღვევს ტრადიციას და ხვალ, ადრე დილიდანვე, თავისი მსუბუქი ავტომობილით, მზად იქნება ქალაქ ოზურგეთიდან უფასოდ გადაიყვანოს მომლოცველები სოფელ კვირიკეთში. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ კი ასევე ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ჩამოვიყვანოს

ისინი ქალაქში.

წმიდა მოწამენი კვირიკე და ივლიტა მცირე აზიაში, ქალაქ იკონიაში ცხოვრობდნენ. დიდებული გვარის ჩამომავალი ივლიტა ქრისტიანი იყო. იგი ადრე დაქვრივდა და ერთადერთ ვაჟს — პატარა კვირიკეს ჰრძიდა. ქრისტიანების დევნის დაწყების შემდეგ ივლიტა მმართველთან დაიბარეს. ის სამსჯავროზე თავისი სამი წლის ძით ხელში მივიდა და ქრისტიანობა თამამად გამოაცხადა. განრისხებული მსაჯულის ბრძანებით ივლიტას შვილი ხელიდან გამოგლიჯეს და ხარის ძარღვით დაუწყვეს ცემა. დედის წამების შემყურე კვირიკე ტიროდა. ბავშვის სილამაზით მოხიბლულმა მმართველმა ის კალთაში ჩაიხსვა და ფერება დაუწყო, მაგრამ კვირიკე არ ჩერდებოდა: „მეც ქრისტიანი ვარ!“ – ტიროდა და დედისკენ მიიწევა. განრისხებულმა მსაჯულმა ბავშვი მიწაზე დაანარცხა. ჩველი კიბის საფეხურებზე ჩაგორდა და გარდაიცვალა. ივლიტასაც თავი მოჰკვეთეს. ისინი დაახლოებით 305 წელს აწამეს. წმიდა კვირიკეს ხელის მტკეპანი საქართველოში — ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

## ზულოცავთ!

### გაბრიელ მდინარაძემ აპაკი ხორავას სახელობის პრემია გადაეცა

**ალიონი.** 22 ივლისს, ქ. სენაკში საზეიმოდ გაიხსნა აპაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი და რეგიონული თეატრების მე-7 საერთაშორისო ფესტივალი.

არქიტექტორ ვახტანგ (ხუტა) გოგოლაძის პროექტით 1953-59 წლებში აშენებული უღამაზეხი თეატრი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სენაკის კულტურული ცხოვრების ჭეშმარიტი კერა იყო.

იგი ყოველმხრივ რეაბილიტაციას საჭიროებდა, რადგან 2008 წლის რუსეთის აგრესიის შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

თეატრის რეკონსტრუქცია ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით განხორციელდა. შენარჩუნებულია თეატრის უნიკალური მხატვრობა.

140-ე თეატრალური სეზონის გახსნის ცერემონიალს საქართველოს



კულტურის მინისტრი თვა წულუკიანი ესწრებოდა. გურიის დღეეგაციას სამეგრელო-ზემო სვანეთისა და

გურიის თეატრალური საზოგადოების თაემგდომარე ვასილ ჩიგოგიძე ხელმძღვანელობდა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გადაწყვეტილებით, აპაკი ხორავას სახელობის პრემია გადაეცათ ქართული თეატრალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს — კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს, მხატვრული კითხვის დიდოსტატს, კოტე მანარაძის სახელობის ტიტულის მფლობელს, მურმან ჯინორიას და ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის უხუცეს მსახიობს, საქართველოს სახალხო არტიტს **გაბრიელ მდინარაძეს**.

მე-7 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი მესხეთის სახელმწიფო თეატრმა ვაჟას უკვდავი „სტუმარ-მასპინძელი“ გაიხსნა.

## განცხადება

შპს „ვასაძის პური“ აცხადებს ვაკანსიებს

1. ელექტრიკოსი;
  2. ცვლის უფროსი;
  3. ცომის მზელავი;
  4. ცომის დამწყობი;
  5. პურის მცხოვრელი;
  6. დამხმარე ბუშა;
  7. პურის შემფუთავ დანადგართან მომუშავე.
- შრომის ანაზღაურება გამომუშავეების მიხედვით.
- დაგვიკავშირდით: **ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №1;**  
**მობ. 599 11 25 72**

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

	<b>ფშობა</b> +19+25		<b>მშე, ღრუბლი</b> +18+23		<b>ფშობა</b> +18+23		<b>მშე, ღრუბლი</b> +16+22		<b>მშე, ღრუბლი</b> +17+24		<b>მშე, ღრუბლი</b> +16+25		<b>ფშობა</b> +17+24
26 ივლისი ორშაბათი	27 ივლისი სამშაბათი	28 ივლისი ოთხშაბათი	29 ივლისი ხუთშაბათი	30 ივლისი პარასკევი	31 ივლისი შაბათი	1 აგვისტო კვირა							